

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აპრილის №01-06/06 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

**2019 წლის -- აპრილი
დაბა ქედა**

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 24 მაისი.“

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 31 მაისი.“

2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

3. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

4. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
დასკვნა

დ. ქედა

19 აპრილი, 2019 წელი

კომისია განმარტავს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე და დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2019 წლის 18 აპრილი დღის 18 საათამდე. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა სამართლებრივი დასკვნა (შემოსული დოკუმენტი №40/04 11.04.2019 წ.).

კომისია აღნიშნავს, რომ საკითხის ინიციატორს - ქედის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა გახანგრძლივდეს (შემოსული დოკუმენტი № 03/2606, 18.04.2019 წელი), შესაბამისად „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში შევიდეს ცვლილებები და დადგენილების პროექტის გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 31 მაისი.

კომისია საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებასთან და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებასთან კონსულტაციების საფუძველზე **ასკვნის:**

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და დადგენილების პროექტის გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 31 მაისი.

ამირან დევაძე

კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2019 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის
ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 14 მარტის №39 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.

2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (რეზო თურმანიძე).

4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტი
2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	სამუშაოს (ან შესყიდვის) შემსრულებელი	სამუშაოს დაწყების თარიღი	სამუშაოს დასრულების თარიღი
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
2		ბალაძეები	116	10000	მოსაცდელის აშენება	3500			
					გარე განათების მოწყობა	6500			
3		გოგიაშვილები	194	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
4		მოსიაშვილები	169	10000	სასაფლაოების შემოღობვა და წყლის სისტემის მოწყობა	4000			
					წისქვილის რემონტი	3000			
					გარე განათების მოწყობა	3000			
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	6500			
	მოსაცდელის აშენება				3500				
6	ხარაულა	639	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000				
7	ჯალაბაშვილები	310	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000				
ჯამი				80000					
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000			
9		ახო	594	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000			
10		გეგელიძეები	428	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000			
11		გობრონეთი	251	12000	სასმელი წყლისათვის მილების შეძენა	2000			
					გარე განათების მოწყობა	4000			
					სოფლის სახლის რემონტი	6000			
12		კოკოტაური	545	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000			
13		ჩეტკიძეები	187	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
ჯამი				86000					

14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000			
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
17		კანტაური	76	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6000			
					გარე განათების მოწყობა	4000			
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
19	ტიბეთა	154	10000	გარე განათების მოწყობა	13000				
				წისქვილისათვის წლწქტრო ძრავის შეძენა	3000				
ჯამი			68000						
20	ზვარე	ზვარე	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
					გარე განათების მოწყობა	13000			
21		ვაიო	409	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3000			
22		ზესოფელი	205	12000	წისქვილის შენობების რემონტი (ორი წისქვილი)	8000			
					სასმელი წყლის წყალგამანაწილებელი აუზის მშენებლობა	4000			
23		კვამტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
24	სირაბიძეები	252	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000				
ჯამი			64000						
25	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
26		აქუცა	262	12000	სასოფლო კლუბის რემონტი	12000			
27		გულები	235	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6000			
					გარე განათების მოწყობა	6000			
28		ზენდიდი	297	12000	სანიაღვრე არხის მოწყობა	12000			
29		კორომხეთი	160	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
30		ორცვა	232	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000			
31		ქედა	149	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5000			
					გარე განათების მოწყობა	5000			
32		შევაბური	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5000			
					საცალფეხო ბილიკის მოწყობა	5000			
33	ცხემნა	156	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000				

34		ძენწმანი	197	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	5000			
					გარე განათების მოწყობა	5000			
35		ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
				ჯამი	118000				
36	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000			
37		ზედა აგარა	106	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
38		კოლოტაური	473	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8000			
					გარე განათების მოწყობა	8000			
39	ქვედა აგარა	109	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000				
				ჯამი	52000				
40	მ/მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	ფანჩატურის მოწყობა 15 დასაჯდომით	6000			
					მინი სპორტული მოედნის განათება, დახაზვა	4000			
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6000			
41	მ/მახუნცეთი	ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
42		ზ/მახუნცეთი	203	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000			
43		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
44		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
45		ქოსოფელი	72	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
46		მილისი	123	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000			
47		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
48		უჩხითი	260	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8000			
	სანიაღვრე არხის ცხაურის მოწყობა				4000				
				ჯამი	106000				
49	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	8000				
				საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8000				
50	ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000				
51	კინკაძეები	202	12000	გარე განათების მოწყობა	12000				

				ჯამი	38000				
52	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	12000			
53		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
54		გოგინძეები	95	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
55		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000			
56		მეძიბნა	188	10000	გარე განათების მოწყობა	10000			
				ჯამი	54000				
57	მერისი		300	12000	გარე განათების მოწყობა	2000			
					მოსაცდელის აშენება საკანდელიძეების უბანში	3500			
					წისქვილისათვის სამშენებლო მასალების შექმნა	3000			
					სასაფლაოზე მისასვლელი კიბეების მოწყობა	3500			
58	გარეტყე	89	10000	სოფლის სახლის მშენებლობა	10000				
59	გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000				
60	ინაშარიძეები		200	10000	სოფლის სახლის სარემონტოდ თუნუქის სახურავის შექმნა	500			
					პოლიეთილენის მილების შექმნა	3500			
					გარე განათების მოწყობა	6000			
61	ნამონასტრევი		60	10000	საცალფეხო კიბის მოწყობა მოაჯირით	5000			
					გარე განათების მოწყობა	5000			
62	სილიბაური		117	10000	200 ლიტრიანი პლასტმასის წყლის რეზერვუარის შექმნა	250			
					პოლიეთილენის მილების შექმნა	3000			
					თუნუქის სახურავის შექმნა	250			
					მოსაცდელის აშენება	3500			
63	სიხალიძეები		148	10000	გარე განათების მოწყობა	3000			
					გარე განათების მოწყობა	10000			
				ჯამი	74000				

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 14 მარტის №39 განკარგულება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ინდივიდუალური აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ინდივიდუალური აქტის პროექტის მიღების პროცესში გავლილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტთან სამართლებრივი კონსულტაციები.

დ. ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ინდივიდუალური აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე.

ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან გორგილაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2019 წლის -- აპრილი
დაბა ქედა**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა და დანართი №2-სა.

2. დანართი №1 და დანართი №2 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის I კვარტალში სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01

პროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

დაწყება-01 იანვარი 2019 წელი

დამთავრება- 31 დეკემბერი 2019 წელი

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;

პროგრამის ბიუჯეტი

54 000 ლარი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაზრდილია ქედელი სპორტსმენების მიღწევები.

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	54 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	54 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილება) N49 დადგენილებით დამტკიცებულია სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამა), I კვარტალში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში, დაიხარჯა 3749.90 (სამიათასშვიდასორმოცდაცხრა ლარი და 90 თეთრი) ლარი. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის შესარჩევი მუნიციპალური თამაშები სპორტის შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები, გოგონები), გაიმარჯვა ვაიოს საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)), დაიხარჯა 559,95 ლარი, კალათბურთი (ვაჟები, გოგონები), ვაჟებში გაიმარჯვა სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო გოგონებში დაბა ქედის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 629,99 ლარი, მინი ფეხბურთი, გაიმარჯვა დაბა ქედის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 559,99 ლარი, ფრენბურთი, (ვაჟები, გოგონები) ვაჟებში გაიმარჯვა დანდალოს საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო გოგონებში სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი (ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 999,98 ლარი, მხიარული სტარტები (მოდრავი თამაშები) გაიმარჯვა დაბა ქედის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III)

დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 999,99 ლარი, გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ თამაშზე ქ. ბათუმში, გუნდების მონაწილეობა უზრუნველყოფილია კვებით და სატრანსპორტო მომსახურებით. ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2. ჭადრაკი - აჭარის პირველობა (8, 12, 16) წლამდე ასაკი(ქ. ბათუმი) (8 მონაწილე, 8 დღე). დაიხარჯა 1699.97 (ერთი ათას ექვსასოთხმოდცაცხრამეტი ლარი და 97 თეთრი) ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვების დღიური ნორმა, სასტარტო და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (მახარაძე ნინო II ადგილი, სალაძე დიანა III ადგილი.).

3. ჭადრაკი - აჭარის პირველობა (10, 14, 20) წლამდე ასაკი (8 მონაწილე, 8 დღე). დაიხარჯა 1699.97 (ერთი ათას ექვსასოთხმოდცაცხრამეტი ლარი და 97 თეთრი) ლარი.(დიანა სალაძე II ადგილი).ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვების დღიური ნორმა, სასტარტო და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (დიანა სალაძე II ადგილი)

4.თორნიკე ღოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში (ქ.თბილისი).(6 მონაწილე) დაიხარჯა 1533,99 (ერთიათასხუთასოცდაცამეტი ლარი და 99 თეთრი)ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვების დღიური ნორმა, ღონისძიება და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (ანრი ავჯიშვილი II ადგილი, სალომე მახაჭაძე II ადგილი, დიმა მახაჭაძე IV ადგილი, სანდრო მახაჭაძე VI ადგილი).

5.ქართული ჭიდაობა-აჭარის პირადი/პირველობა 2005-2007წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის(დაბა ქედა). (8 მონაწილე) დაიხარჯა 120 (ასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა ღონისძიებაში მონაწილეების კვებით დღიური ნორმით უზრუნველყოფა (ნიკა აბაშიძე I ადგილი 45 კგ წონით კატეგორიაში, დიმა გოგიტიძე II ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში, კობა გოგუაძე III ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში, ლევანი გოგუაძე III ადგილი 55 კგ წონით კატეგორიაში, ნიკა ბერიძე III ადგილი 66 კგ წონით კატეგორიაში).ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2019 წლის I კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 8803,83 (რვაათასრვაასსამი ლარი და 83 თეთრი) ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებების შესრულების შესახებ

ანგარიში

1. პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

2. ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 02 04

3. ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა

4. ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური

5. დაფინანსების წყარო:

მუნიციპალური ბიუჯეტი

6. ქვეპროგრამის მიზანი:

გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა.

7. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

დაწყება - 01 იანვარი 2019 წელი

დამთავრება - 31 დეკემბერი 2019 წელი

8. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და თანამდებობის პირი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური. სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე.

9. პროგრამის შესრულების ანგარიშის რეზიუმე

2019 წლის პირველ კვარტალში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. საახალწლო-საშობაო ღონისძიებების ფარგლებში საბავშვო მიუზიკლის „ფიფქია და სამი გოჭი“ მოწვევა-დადგმა; დაიხარჯა 1210 (ერთიათასორასათი) ლარი;
2. საახალწლო-საშობაო ღონისძიებების ფარგლებში ბავშვებისათვის სპექტაკლის „ზევით ყვავილებთან მინდა“ მოწვევა- დადგმა; დაიხარჯა 1210 (ერთიათასორასათი) ლარი;
3. საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისთვის საჭირო სხვადასხვა აქსესუარების შეძენა. დაიხარჯა 7078,50 (შვიდიათასსამოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.
4. „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2018-2019“-ის ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა; დაიხარჯა 2960 (ორი ათას ცხრა ას სამოცი) ლარი.
5. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2018-2019“-ის ქედის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენ ინტელექტუალურ კონკურსში (მეორე ტურში) გამარჯვებულ მონაწილეებზე (I, II, III ადგილი) ფულადი ჯილდოს გადაცემა. სულ დაიხარჯა 1000 (ერთიათასი) ლარი.
6. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. დაიხარჯა 2970 (ორიათასცხრასამოცდაათი) ლარი.
7. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. სულ დაიხარჯა 440 (ოთხასორმოცი) ლარი.
8. დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებს შორის (ქედა-კრემენეცი) გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაცვლითი ვიზიტების ხელშეწყობასთან დაკავშირებული მომსახურება. სულ დაიხარჯა 10344.54 (ათიათასსამასორმოცდაოთხი ლარი და 54 თეთრი) ლარი.
9. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოში დაგეგმილ საერთაშორისო ფესტივალში „კავკასიის ცეცხლი“ ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის გოგონათა ფოლკლორული ანსამბლ „იასამანის“ მონაწილეობა. სულ დაიხარჯა 3499,80 (სამიათასოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

სულ დაიხარჯა: 30712,84 (ოცდაათიათასშვიდასთორმეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარი.